ახალგაზრდა თავდამსხმელის წარმატება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 18 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “კაირატი” (ალმა-ათა) 3:0 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი, ნოდია, დათუნაშვილი (იამანიძე).

“კაირატი”: ბუბენეცი, დიშლენკო, იშჩენკო, ფედოტოვი, კამინსკი, ჟუიკოვი, კვოჩკინი, აკიმოვი, ვოლოხი (ზაბუდკო), ბაიშაკოვი, სეგიზბაევი.

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვის ოლქი).

მატჩი დაიწყო იმით, რომ თავდასხმის ცენტრში (ნოდია-გავაშელი-ნოდია) თბილისელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელსაც ბოლო მომენტში მიუსწრო ბუბენეცმა. ეს მოხდა მე-2 წუთზე, შემდგომი ათიოდე წუთის მანძილზე კი “კაირატის” კარისკენ შესრულდა რამდენიმე დარტყმა სხვადასხვა დისტანციიდან (სიჭინავა, ცხოვრებოვი, ნოდია, დათუნაშვილი), მაგრამ მათი მიმართულება, სამწუხაროდ, იყო კარისკენ და არა კარში. ამ მეტად უხეირო დარტყმებმა საგრძნობი არეულობა შეიტანა დინამოელთა ფორვარდებში. შეტევის პირველმა სიმწვავემ, ორგანიზებულობამ ადგილი დაუთმო არეულობას, უსისტემო გადაცემებს. არ გამოუვიდა თამაში თავდასხმის ლიდერს _ მეტრეველს, რომელსაც საკმაოდ უხეშად ეთამაშებოდა კამინსკი, ამიტომ სასწრაფოდ შეიქმნა საჭიროება იერიშების მეთაურის როლის “გადაბარებისა” სხვა ფორვარდისთვის. აქ ინიციატივა თავის თავზე აიღო გავაშელმა და რამდენიმე თამამი რეიდი განახორციელა, თუმცა “კაირატის” დაცვის რიგების დაძლევა, სადაც 7-8 მოთამაშე სისტემატურად იყრიდა თავს, ამ ვარიანტშიც ძნელი აღმოჩნდა.

ანგარიში 24-ე წუთზე გაიხსნა. ხურცილავამ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი კედელს ზემოთ გადაუგდო ნოდიას და ამ უკანასკნელმა შეუჩერებლად გაგზავნა იგი ბადეში _ 1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ძალიან ცუდად, სრული ქაოსის ვითარებაში ითამაშეს პირველი 20 წუთი. მინდორზე არ ჩანდა რაიმე გეგმის ნასახიც კი, ფეხბურთელები გამუდმებით კარგავდნენ ბურთს, უმისამართოდ აწვდიდნენ ერთმანეთს, შეჯგუფულად მოქმედებდნენ შუა მინდორში. სტუმრები მაშინვე დაიძრნენ წინ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ მცველებიც რეგულარულად მონაწილეობდნენ შეტევებში (დიშლენკო, ფედოტოვი, ჟუიკოვი). ამ მონაკვეთისთვის “დინამოს” უყოყმანოდ ეკუთვნის “ორიანი”. მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა 32-ე წუთზე. მეტრეველმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, შევიდა მეკარის მოედნამდე და ბურთი ცენტრში მისცა გავაშელს. ცენტრფორვარდმა კარგად შეურჩია ადგილი გადაცემას _ 2:0.

თბილისელთა გამარჯვებას საბოლოოდ წერტილი დაესვა მე-40 წუთზე. გამეორდა ზუსტად იგივე კომბინაცია მეტრეველი-გავაშელი (ამჯერად, მარჯვენა მხრიდან) და ბუბენეცმა მესამე ბურთი გამოიტანა ბადიდან.

გამარჯვება მოპოვებულ იქნა დიდი ანგარიშით, თუმცა მატჩის დიდი ნაწილი ჩვენმა გუნდმა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა ჩაატარა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 19 ოქტომბერი, 1967 წ.